ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲦᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 78 (20419) ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 4 ᲐᲠᲠᲘᲚᲘ, 1989 ᲬᲔᲚᲘ. ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲥᲘᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡᲐ

⊙ **ᲩᲕᲔᲜᲡ** ქვეყანაში სადღეისოდ წინა პლანზე წამოინია ბიოლოგიურად, ეკოლოგიურად ჯანსაღი, სუფთა მინათმოქმედების პრობლემა. საჭიროა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ ადამიანმა მიიღოს ყოველგვარი მავნე ნივთიერებისაგან დაცული სოფლის მეურნეობის პროდუქტები! კი, მაგრამ ძალგვიძს ამ ძნელი ამოცანის გადაჭრა? (**„ბიოლოგიურად სუფთა მინათმოქმედებისათვის“**).

ᲒᲔ-2 ᲒᲒ.

⊙ **ᲬᲚᲔᲣᲚᲡ** 80 წლისთავს გადაიხდიდა ქართველი ტექნიკური ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი რაფიელ დვალი. დიდი მეცნიერის, გულმხურვალე პატრიოტის ნათელ ხსოვნას ეძღვნება პროფესორ რ. ფარცხალაძის წერილი (**„ნიშანი მამულიშვილობისა“**).

⊙ **ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ** დიდი თუ პატარა პრობლემაა გადასაჭრელი იმისათვის, რომ აჭარის ზღვისპირეთის ჯანმრთელობის ზონა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს ახალ საკურორტო სეზონს. მართალია, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელიც საკმაოდაა (**„ზღვისპირეთის გაჭიანურებული მშენებლობები“**).

ᲒᲔ-3 ᲒᲒ.

⊙ **ᲫᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ** შესაშური შემოქმედებითი ნაყოფიერებაა დამახასიათებელი სულხან ცინცაძისათვის, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ კომპოზიტორის ფართო მუსიკალურ-ბიბლიოგრაფიულ მოღვაწეობას, რასაც ამ ლექსში სერ კავშირის სახალხო დეპუტატობაც დაემატა (**„[illegible]“**).

⊙ **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ** მარტიდან ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს ავტოტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერება-ორთვიური. მისმა პირველმა შედეგებმა და „კომუნისტის“ რეიდმაც ცხადყო, რომ ჯერ კიდევ ყველა ერონაირად არ სცემს პატივს კანონსა და წესს, საფრთხეში აგდებს ადამიანის სიცოცხლეს (**„ჩამოვაშოროთ ლოთები საჭეს“**).

ᲒᲔ-4 ᲒᲒ.

მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი კუბაში

შეხვედრა შენონში

2 ᲐᲠᲠᲘᲚᲘ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვიდან ჰავანას გაემგზავრა ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ფიდელ კასტრო რუსის მიწვევით. შემდეგში იგი ოფიციალურ ვიზიტად ჩავა დიდ ბრიტანეთში ამ ქვეყნის ხელმძღვანელობის მიწვევით. მ. ს. გორბაჩოვი კუბაში გზად მიმავალი მოკლე ხნით ჩამოხდება ირლანდიის შენონის აეროპორტში, სადაც გაიმართება საბჭოთა კავშირ-ირლანდიის უმაღლესი დონის შეხვედრა.

მ. ს. გორბაჩოვს მოგზაურობის დროს ახლავან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. კამენცევი.

აეროდრომზე მ. ს. გორბაჩოვი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ლ. ნ. ზაიკოვმა, ი. კ. ლიგაჩოვმა, ვ. ა. მედვედევმა, ნ. ი. რიჟკოვმა, ნ. ნ. სლიუნკოვმა, ვ. მ. ჩებრიკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა ა. პ. ბირიუკოვმა, ა. ვ. ვლასოვმა, დ. ტ. იაზოვმა, ა. ი. ლუკიანოვმა, ი. დ. მასლიუკოვმა, გ. პ. რაზუმოვსკიმ, ნ. ვ. ტალიზინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ო. დ. ბაკლანოვმა, სხვა ამხანაგებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში რ. ბრეიტვეიტი, კუბის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში რ. მირაბალი და ირლანდიის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში დ. მაკინვარი.

• • •

ᲘᲛᲐᲕᲔ დღეს მ. ს. გორბაჩოვი შენონში ჩავიდა. ირლანდიის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დროშებით მორთულ აეროპორტში მ. ს. გორბაჩოვს, მის მეუღლესა და თანმხლებ პირებს დახვდნენ ირლანდიის პრემიერ-მინისტრი ჩ. ჰოჰი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ლენჰანი, ფინანსთა მინისტრი ა. რეინოლდსი, ტურიზმისა და ტრანსპორტის მინისტრი ჯ. უილსონი, კაბინეტის სხვა წევრები, ირლანდიის ელჩი სსრ კავშირში ჩ. ვ. უილანი, სსრ კავშირის ელჩი ირლანდიაში გ. ვ. ურანოვი.

მიესალმა რა მ. ს. გორბაჩოვს და რ. მ. გორბაჩოვას, ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა თქვა:

კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება ირლანდიაში!

თქვენ ისტორიაში პირველი საბჭოთა პრეზიდენტი ბრძანდებით, რომელიც ირლანდიას ეწვია, და ამიტომაც თქვენი ვიზიტი ისტორიულია. ეს შეხვედრა შესაძლებლობას მოგვცემს გაგიზიაროთ აზრები საერთაშორისო ურთიერთობის, აგრეთვე ჩვენი ორი ქვეყნის განვითარებადი ურთიერთობის შესახებ.

ჩვენი ეკონომიკური და კულტურული ორმხრივი ურთიერთობის წარმატებული განვითარებისათვის მრავალი შესაძლებლობაა. საჭიროდ მიგვაჩნია განსაკუთრებით აღვნიშნოთ ეს შესაძლებლობანი აქ, ამ საერთაშორისო აეროპორტში, რომელიც მთელი ევროპის მეშვეობით ვოლგას აკავშირებს შენონთან და ბევრ რამეს აკეთებს, რათა გამოავლინოს საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის პოტენციალები.

ირლანდია მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად დიდი გაგებითა და თანაგრძნობით ადევნებს თვალს რადიკალურ ცვლილებებს, რომლებიც ახლა საბჭოთა კავშირში ხდება. ჩვენ დიდ პატივს ვცემთ თქვენს მეცადინეობას საბჭოთა საზოგადოება გახადოთ უფრო კარგახსნილი და გარდაქმნათ საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა და გისურვებთ წარმატებას თქვენს ვაჟკაცურ მისწრაფებებში.

თქვენმა ინიციატივებმა დიდი წვლილი შეიტანეს ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის ახალ სულისკვეთებაში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და ნდობის გადადებაში. მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებს ახარებთ, რომ თანდათანობით თავიდან ვიცილებთ დაძაბულობის მდგომარეობას, სადაც ფასდება მხოლოდ ძალა, და გადავდივართ ახალ სამყაროში, სადაც პოლიტიკური ცნებები და დიალოგი ეს-ტერალურ როლს ასრულებენ. ბირთვული იარაღის საზარელი ტვირთის შემდგომი შემცირება და შემდგომი პროგრესი საშიში რეგიონალური კონფლიქტების გადაწყვეტაში ახლა რეალური შესაძლებლობა ხდება.

გასული წლის 7 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე თქვენ მიერ წარმოთქმულმა ისტორიულმა სიტყვამ ძალუმად და მკაფიოდ მონიშნა ახალი მიდგომა მსოფლიო პრობლემებისადმი. როლი, რომელსაც ანიჭებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, „ამ უნიკალურ ინსტრუმენტს“, ბევრად ემთხვევა ჩემი საშობლოს უკვე დიდი ხანია არსებულ პოლიტიკას. საერთაშორისო უშიშროება, რომელიც დაფუძნებული იქნება სხვადასხვა ქვეყნის მიერ კანონების დაცვასა და გამაერთიანებელ შეიარაღების შეწყვეტაზე, საჭიროა კაცობრიობის მომავლისათვის. მინდა გამოვხატო ჩვენი მისწრაფება ამ იდეალების განხორციელებისადმი რუსი სახალხო პოეტის სერგეი ესენინის სიტყვებით: იმით არიან ჩემთვის ძვირფასი ადამიანები, რომ ამ ქვეყნად ჩემთან ერთად ცხოვრობენ.

ჩემი პირადი იმედი ის არის, რომ კლავაც გაფართოვდება და გაღრმავდება ჩვენი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა. მწამს, რომ ყველა ქვეყანას, დიდსაც და პატარასაც, შეუძლია შეიტანოს წვლილი მთელ მსოფლიოში მშვიდობიანი თანამშრომლობის ახალ „მოქცევაში“. ვიმედოვნებ, რომ ხორცს შეისხამს თქვენს წიგნში — „გარდაქმნა და ახალი აზროვნება ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსათვის“ — გამოხატული სურვილი: „ამ საუკუნეში რომ თავიისუფლება დამკვიდრდეს დედამიწის ყოველ კუთხეში“.

მთელი ირლანდიელი ხალხის სახელით მოგესალმებით ირლანდიაში, როგორც ჩვენ ვამბობთ ხოლმე, ასიათასჯერ.

თავის მისალმებაში მ. ს. გორბაჩოვმა თქვა:

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო, ქალბატონებო და ბატონებო!

მოხარული ვართ, რომ ვეწვიეთ ირლანდიას, მადლობას მოგახსენებთ გულთბილი შეხვედრისა და კეთილი სიტყვებისათვის. თქვენი სახით მივესალმებით ძველი ისტორიისა და კულტურის ქვეყანას, რომლის შვილებმა შეიტანეს წვლილი ყველა კონტინენტის მრავალი ქვეყნის განვითარებაში. მივესალმებით მამაც და ნიჭიერ ირლანდიელ ხალხს.

მთელი რიგი ქვეყნების ხელმძღვანელებთან ჩვენი შეხვედრების კალენდარში, რომლებიც წელს მოგველის, ირლანდია ადგილ შეჩერება კი არა, მოვლენაა. საბჭოთა კავშირ-ირლანდიის უმაღლესი დონის პირველი შეხვედრა ხანმოკლე იქნება, მაგრამ მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება თითოეული წუთი.

ჩვენ ვაფასებთ შესაძლებლობას თქვენთან ერთად, ბატონო პრემიერ-მინისტრო, განვიხილოთ პრობლემები, რომლებიც ერთნაირად საინტერესოა ყველა ჩვენგანისათვის: გლობალური, ევროპის, ორმხრივი პრობლემები. როცა ჩვენს პოლიტიკას ვაყალიბებთ თანამედროვე, სულ უფრო ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში, ვითვალისწინებთ ყველა სახელმწიფოს აზრს. ყოველი ქვეყნის — დიდი, საშუალო და პატარა ქვეყნის — წარმომადგენლებთან დიალოგი ეს თანასწორთა დიალოგია. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება შევიმუშაოთ პროდუქტიული გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეესაბამება უშიშროებისა და ნდობის განმტკიცებას, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებას.

საერთაშორისო დიალოგის გააქტიურება, ახალი პოლიტიკური აზროვნების დამკვიდრება და რევოლუციური ცვლილებები ჩვენს ქვეყანაში უბრალო პროცესები როდია, რომლებიც დროით დაემთხვა ერთმანეთს. ისინი ეხმარებიან ერთმანეთს, ხელს უწყობენ იმას, რომ მსოფლიო XXI საუკუნის ზღურბლზე გახდეს უკეთესი, უფრო მტკიცე, უფრო სამართლიანი. იმედი გვაქვს, რომ ჩვენს ირლანდიელ თანამოსაუბრეებთან სჯა-ბაასი სწორედ ამას შეეხება.

მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მივანჭოთ დინამიკა საბჭოთა კავშირ-ირლანდიის ურთიერთობას ყველა მიმართულებით.

გმადლობთ ყურადღებისათვის, გმადლობთ შეხვედრისათვის.

შემდეგ ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა დაიწყეს ორმხრივი მოლაპარაკება.

• • •

ᲨᲔᲜᲝᲜᲘ. (ირლანდია), 2 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა საბჭოთა კავშირ-ირლანდიის უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგებისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია. ჟურნალისტთა წინაშე გამოსვლისას ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა ჩ. ჰოჰმი თქვა:

მე ძალზე საინტერესო მოლაპარაკება მქონდა პრეზიდენტ მ. ს. გორბაჩოვთან. ჩვენ შევეხეთ საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებს, ორმხრივ საკითხებს, ევროპაში მდგომარეობის განვითარებას, სხვა პრობლემებს. შევთანხმდით, რომ ორმხრივი ურთიერთობის მთელი რიგი საკითხები განვითარდება მინისტრების დონეზე, კერძოდ, ირლანდიის მინისტრთა დელეგაცია ეწვევა მოსკოვს, რათა განაგრძონ უფრო დეტალური მოლაპარაკება, და დისკუსიები. დასასრულ მინდა ვთქვა, რომ პირადად ჩემთვის დიდი პატივია, რომ საბჭოთა პრეზიდენტი ეწვია ჩვენს ქვეყანას.

საპასუხო სიტყვაში მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა: იძულებული ვარ გავიმეორო, რადგან პრემიერ-მინისტრ ჰოჰის მიერ ნათქვამში ემთხვევა გამართული მოლაპარაკების ჩვეული შეფასებებსაც. ეს შინაარსიანი მოლაპარაკება იყო. გამოყოფილი დროის ფარგლებში მხარეებმა კონცენტრირებული სახით ჩამოაყალიბეს თავიანთი პოზიციები ! ფართო წრის პრობლემებზე, ორმხრივ ურთიერთობაზე, მათ შორის შეეხნენ ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიც არის ევროპის პროცესი, რეგიონალური კონფლიქტები, კერძოდ, სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში, სხვა პრობლემები.

მოლაპარაკების კარგ ატმოსფეროსა და კონსტრუქციულ მიმართულებას საბჭოთა კავშირ-ირლანდიის პოლიტიკური დიალოგი უფრო მაღალ დონეზე აყავს, მასში ვლინდება დიდი ნდობა, ურთიერთგაგება. ჩვენ მივესალმებით ასეთ განვითარებას.

ბატონმა პრემიერ-მინისტრმა სწორად ბრძანა, რომ ჩვენ გგვიჩნდა ისეთი თემები, რომლებმაც მოითხოვა შემდგომი განხილვა, აზრთა გაზიარება. შევთანხმდით, რომ მინისტრთა ჯგუფი ჩამოვა მოსკოვში, რათა გაგრძელდეს ეს აზრთა გაზიარება.

მე მგონი, პოლიტიკური საათების — მოსკოვისა და ირლანდიის საათების შემოწმება სასარგებლო აღმოჩნდა.

შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა უპასუხა ჟურნალისტთა კითხვებს.

• • •

დღესვე მ. ს. გორბაჩოვი და მისი თანმხლები პირნი გაემგზავრნენ ჰავანაში. ისინი გააცილეს ჩ. ჰოჰმ, ბ. ლენჰანმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲰᲐᲕᲐᲜᲘᲡ ᲐᲔᲠᲝ�პᲝᲠᲢᲨᲘ. ᲡᲐᲙᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ტელეფოტო.

ᲫᲛᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲙᲣᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲐᲚᲖᲔ

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ. 3 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.) სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი, რომელიც ოფიციალურ მეგზურულ ვიზიტად აირის კუბის რესპუბლიკაში კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ფიდელ კასტრო რუსის მოწვევით, 2 აპრილს ჰავანაში ჩამოვიდა.

ხოსე მარტის სახელობის აეროპორტში თვითმფრინავის კიბესთან საბჭოთა ხელმძღვანელსა და მის მეუღლეს დახვდნენ ფ. კასტრო, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი, არმიის გენერალი რაულ კასტრო, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კუბელ ქალთა ფედერაციის თავმჯდომარე ვილმა ესპინი.

მოგზაურობისას მ. ს. გორბაჩოვს ახლავან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. კამენცევი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კარლოს რაფაელ როდრიგესი, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ხულიო კამაჩო აგილერა, კუბის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის წევრები და სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ი. ვ. პეტროვი.

საბჭოთა და კუბელი ხელმძღვანელები კაბრიოლეტში სხდებიან და მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით მიემართებიან მ. ს. გორბაჩოვის რეზიდენციაში, რომელიც განლაგებულია ჰავანის თვალწარმტაც კუბანაკანის რაიონში.

დედაქალაქის ასიათასობით მცხოვრები მხურვალედ ესალმებოდა საბჭოთა სტუმარსა და ფ. კასტროს კორტეჟის მთელ 30-კილომეტრიან გზაზე.

რეზიდენციაში მოსვლისას მ. ს. გორბაჩოვმა და ფ. კასტრომ გამართეს პირველი საუბარი ჟურნალისტებთან, რომლებიც აშუქებენ ვიზიტს.

დედაქალაქის გაზეთები წერენ, რომ კუბელები მოუთმენლად მოელოდნენ ამ ვიზიტს, რომელმაც ახალი იმპულსი უნდა მიანიჭოს ორი ქვეყნის ძმური ურთიერთობის განვითარებას. სსრ კავშირისა და კუბის ხალხთა მეგობრობა იშვა კუბის რევოლუციისათვის მძიმე წლებში, როცა ამერიკის იმპერიალიზმს ეკონომიკურ ალყაში ჰყავდა მომწყვდეული რესპუბლიკა და პირდაპირი შეიარაღებული აგრესიით ემუქრებოდა. საბჭოთა კავშირი დაეხმარა კუბელებს გაეძლოთ რევოლუციის მტრებთან ბრძოლაში, დაეძლიათ ტრადიციული ეკონომიკური დამოკიდებულება, შეექმნათ განვითარების საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და დაეწყოთ სოციალიზმის მშენებლობა.

დღევანდელი დღე სსრ კავშირისა და კუბის წინაშე არანაკლებ რთულ და პასუხსაგებ ამოცანებს სახავს. საერთაშორისო სარბიელზე მიმდინარე პოზიტიური ცვლილებები, საშინაო პროცესები ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა კავშირ-კუბის თანამშრომლობის ახალ პერსპექტივებს სახავს. სწორედ ამიტომ საბჭოთა ხელმძღვანელის ვიზიტს აქ ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მშვიდობისა და განიარაღების, ეკოლოგიური უსაფრთხოების, ორმხრივი თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების საკითხები — ეს და მრავალი სხვა პრობლემა გახდება საბჭოთა კავშირ-კუბის მოლაპარაკების დროს დაწვრილებითი განხილვის საგანი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

8 ᲐᲠᲠᲘᲚᲘ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი რესპუბლიკის იდეოლოგიური, სამეცნიერო, შემოქმედებითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა და პარტორგანიზაციების მდივანთა მონაწილეობით.

განიხილეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მომხდარი უკანასკნელი ამბების შესაბამისად იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების საკითხები.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲥᲘᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ შინაგან საქმეთა სამინისტროში იუწყება:

1 აპრილს აფხაზეთის ასსრ ქალაქ გაგრის ზონის სოფელ ლესელიძეში გაიმართა უსანქციო მიტინგი.

მიტინგის დამთავრების შემდეგ, გზაზე ავტობუსში, რომელშიც მიტინგის მონაწილენი ისხდნენ, აგრეთვე მეორე ავტობუსში, რომელშიც დაკრძალვიდან დაბრუნებული ადამიანები იყვნენ, ჩამსხვრიეს მინები. ზოგიერთი მგზავრი მსუბუქად დაშავდა.

შემთხვევის ადგილზე მოსული საქართველოს სსრ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები აწარმოებენ გამოძიებას. დაკავებული არიან ხულიგნურ მოქმედებაში ეჭვმეტანილები.

2 აპრილს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები არ ყოფილა. 3 აპრილს ლექციებს არ დაესწრო ქალაქ სოხუმის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ნაწილი. იყო შეფერხებები საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობაში.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

— ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ: ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ —

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲨᲣᲥ-ᲩᲠᲓᲘᲚᲔᲑᲘ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის მშრომელთა ნახელავზე დიდი მოთხოვნილებაა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ეს, ცხადია, ძალზე ზრდის კოლექტივის წევრთა პასუხისმგებლობის პროდუქციის ხარისხისათვის. ამ მხრივ კარგად მუშაობს პროდუქციის სახმიღების სამსახური, რომლის წევრები გულისყურით ამოწმებენ ცალკეული დეტალების დამუშავების სიზუსტეს. მათ, ვიდრე მანქანა აიწყობოდეს, საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ შესწორებები ტექნოლოგიურ პროცესებში, საკონსტრუქტორო დოკუმენტებში... წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა გეგმის შესრულების მიზნით ჰაიჰარად მზადდებოდა ესა თუ ის დეტალი, სახმიღება არ უშვებს უხუსტობას, ვინაიდან ეს პრესტიჟის საქმეც არის და ხელფასზეც სათანადოდ მოქმედებს.

— უკანასკნელი ორი წელია შეწყდა რეკლამაციები, შარშან მხოლოდ ერთი მივიღეთ და ისიც სადავო იყო, — თქვა სახმიღების ხელმძღვანელმა სოსლან თიბილოვმა. ახლა, პირიქით, მადლობის წერილები მოდის. მაგალითად „კრეთობასმადნის“ საწარმოო გაერთიანებიდან გვწერენ, რომ „1 აშლ“ მარკის ჩვენი ვიბრაციული ლუკი მადნის გადმოტვირთვის საუკეთესო საშუალებაა, რომ მან მთლიანად გამორიცხა ხელის შრომა და გვიხოვენ გავზარდოთ მისთვის ამ პროდუქციის მოწოდება. ასეთივე წერილები მოდის ქვეყნის სხვა სამთო სამადნო საწარმოებიდან და მეტალურგიული კომბინატებიდანაც...

ეს, ცხადია, ახარებს და უკეთ მუშაობისათვის ვანაწყობს ცხინვალელ მანქანათმშენებლებს. სახმიღებამ მუშაობა უფრო მიზანსწრაფული გახადა. საამქროს ოსტატებისა და ტექნიკური კონტროლის წარმომადგენლებთან ერთად ხან „მფრინავი“, ხანაც ერთიანი შემოწმებებით ვლინდება ნაკლოვანებანი, დირექციისა და პარტიული ორგანიზაციის თანადგომით ხოლიელდება კონკრეტული ღონისძიებები მათი გამოსწორებისათვის.

ამჟამად საწარმოო უბნები უზრუნველყოფილია კორექტირებული ნორმატულ-ტექნოლოგიური დოკუმენტაციით. სახმიღების ინიციატივით ამოქმედდა გაუწყობელი სტენდები. ასე, მაგალითად, ალადგინეს მაღალ ძაბვაზე ელექტრომაგნიტური კოჭის იზოლაციის გასასინჯი, აგრეთვე ვიბრატორების კორპუსისა და სახურავის ჰიდროგამოცდის სტენდები, ატესტაცია გაუკეთდა ყველა მანქანას. სახმიღების წინადადებით სრულყოფილი გახდა ელექტროვიბრაციული მანქანების გამოცდის კონსტრუქცია და მეთოდი. მანვე მკაცრი კონტროლი დაუწესა ძირითადი კვანძებისა და დეტალების დამზადებას. ატესტაცია პირველად ჩაუტარდა უმაღლესი ხარისხის კატეგორიის ერთტაქტიან მკვეთავ მანქანას და სხვ.

ამის შედეგიც არის, რომ საწარმოში სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვება დაგეგმილთან შედარებით ოცი და მეტი პროცენტით გაიზარდა. თუ ადრე საწყობებში ინახებოდა 1,5 მილიონი მანეთის ღირებულების გაუსაღებელი ნაწარმი, ახლა ზენორმატული ნაშთი თითქმის აღარ არის...

დიახ, წარმატებები მართლაც არის, მაგრამ მაჩვენებლები ბევრად უკეთესი იქნებოდა, სახმიღების მუშაკებმა უფრო პრინციპული და მომთხოვნი რომ იყვნენ. მართალია, ნაწარმის ხარისხის გამო ისინი თავიანთ პრეტენზიებს აცნობენ დირექციას, მაგრამ ზოგჯერ ბოლომდე არ მიპყვებიან საქმეს, პრინციპულად არ იღებენან ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. ასე, მაგალითად, მათ პარტიული ბიუროს სხდომაზე აღნიშნეს, რომ ქარხნის საკონსტრუქტორო ბიურო და ტექნიკური განყოფილება სათანადოდ არ ზრუნავენ ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამის გამო მრავალი მანქანა ნაკლებრენტაბელური გახდა, ჩამორჩა თანამედროვე ტექნიკურ მოთხოვნებს. კონსტრუქტორთა მუშაობის ტემპი და ხარისხი კი ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელია. „ა-100 მ“ ელექტროვიბრაციულ მანქანაზე მოთხოვნები სულ უფრო იზრდება. მისი სამართავი კარადის კვანძში კონსტრუქტორებს მცირე ცვლილებანი რომ შეეტანათ, ქარხანა 24 ათასი მანეთის მოგებას მიიღებდა, მაგრამ ისინი რატომღაც არ ჩქარობენ. არც ვიბრატორის ლილვისა და კბილანების თერმული დამუშავება გაუუმჯობესებიათ, არ დაუმზადებიათ შემჭიდროებული რეზინის წნეხფორმაც, არ შეკეთებულა ზამბარების მტვიფრავი წნული, კოჭების საშრობ ღუმელში ვერ დაიდგა ტემპერატურის მაკონტროლებელი მოწყობილობა, დროულად არ გადაისინჯა და არ გამოიცა პროდუქციის ტექნიკური პირობები. სათანადო ქიმიკატების უქონლობის გამო არ ფუნქციონირებს გალვანური უბანი. ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს იმას, რომ შემოსული მასალები და მოწყობილობანი მთლიანად მოწმდებოდეს, სახმიღების ერთი წარმომადგენელი ფიზიკურად ვერ აუდის შემოსული მასალების სრულ შემოწმებას. ასე რომ, 70 პროცენტი შეუმოწმებელი რჩება.

ქარხანაში ნელი ტემპით მიმდინარეობს დაზგა-დანადგარების მოდერნიზაცია. მათი 20 პროცენტზე მეტი ვერ უპასუხებს ტექნოლოგიურ დახასიათებას. ცხადია, ეს უარყოფით გავლენას იმოქმედებს ახალი პროდუქციის გამოშვებაზე. ქარხანაში რომ დაბალია საწარმოო კულტურა, ეს არაერთხელ თქმულა როგორც საწარმოო თათბირებზე, ისე პარტიულ კრებებზე, სახმიღების ორგანომაც დააყენა ეს საკითხი, მაგრამ საქმე არ სწორდება. ქარხნის ტერიტორიაზეც ბევრია წარმოების ნარჩენები, გაუზღავი ნაგავი. მუშებს ძალზე უძნელდებათ ღია ცის ქვეშ მანქანების შეღებვა, განსაკუთრებით ზამთარში, საამქროებშიც სიცივეა. სასაწყობო მეურნეობის უკმარისობის გამო მრავალი დაზგა გარეთ იყანგება. ქარხნის ადმინისტრაციი თავს იმშვიდებს, ახალ ქარხანას ვაშენებთო, მაგრამ მის დამთავრებას საშველი არ დაადგა, ახალი ქარხნის ამოქმედების ვადამ, რომელიც ჯერ კიდევ 1986 წელს უნდა გადაეცათ საექსპლოატაციოდ, 1990 წლამდე გადაიწია.

მაგრამ ქარხნის ურიცმო მუშაობის მთავარი მიზეზი მაინც ფოლადსხმულებითა და ნედლეულით მისი ცუდი მომარაგებაა. თბილისს ფოლად-თუჯსასხმელო და ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნები მას კვლავ უხარისხო ფოლადსხმულს აწვდიან. საწარმოს მშრომელები დროულად ვერც ელექტროკოჭების დასახვევ სადენებს, თუნუქის ფურცელს, საღებავ მასალას ღებულობენ. ზოგჯერ პარადო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან 30-40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში მომხდარი რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **აღგენს:**

„30-40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში მომხდარი რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან 30-40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში მომხდარი რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის საკითხთა კომისია.

კომისიის ძირითად ამოცანად მიჩნეულ იქნეს რეაბილიტირებულთა უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფაში საბჭოთა ორგანოებისათვის ხელის შეწყობა, მათთვის აუცილებელი დახმარების აღმოჩენა მატერიალური ზარალის ანაზღაურებაში, საპენსიო, საბინაო და სხვა უზრუნველყოფის საკითხთა გადაწყვეტაში, აგრეთვე რეპრესიების მსხვერპლთა ძეგლების შექმნაში, მათი დაკრძალვის ადგილების სათანადოდ მოვლა-პატრონობაში.

კომისია ყველა საკითხს წყვეტს სხდომებზე, რომლებიც იმართება საჭიროებისდა მიხედვით, მაგრამ კვარტალში ერთხელ მაინც. აუცილებელ შემთხვევებში კომისიის შეუძლია თავის მუშაობაში ჩაბას სამეცნიერო დაწესებულებები, საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, ცოდნის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ო. ჩერქეზიანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 29 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან არსებული 30-40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში მომხდარი რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის საკითხთა კომისიის

შემადგენლობა

კომისიის თავმჯდომარე

ვალერი ივლიანეს ძე **ვადაჭკორია** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

დევი გიორგის ძე **სტურუა** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.

კომისიის წევრები

ია ბორისის ძე **გამრეკელი** — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე.

ოთარ მოსეს ძე **ვორდელაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პატიების საკითხების განყოფილების გამგე.

ვალერიან ალექსანდრეს ძე **ედიშერაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ანატოლი დიმიტრის ძე **დიმიტიარი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი.

ედუარდ პავლეს ძე **ვოიციცკი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

აბესალომ ნოეს ძე **იმედაშვილი** — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე.

თამარ ვასილის ასული **ლაშქარაშვილი** — საქართველოს ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

მუხრან ივანეს ძე **მაჭავარიანი** — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

ზურაბ მელიქიშვილის ძე **რატიანი** — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე.

კონსტანტინე თეიმურაზის ძე **სალია** — საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველი მოადგილე.

მურატ გრიგოლის ძე **სანაკოევი** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ამირან ქუსკინის ძე **დადიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ქობულეთის რაიონის სოფ. ბობოყვათის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

ვარლამ ივანეს ძე **შადური** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

ნუგზარ ხვთისის ძე **შოშიაშვილი** — საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე.

ნიკოლოზ გიორგის ძე **ჩერქეზიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს ურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე.

ვიაჩესლავ მიხეილის ძე **ცუგბა** — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

გიორგი ილიას ძე **ჭანტურია** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

კანონი

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონის 34-ე მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **აღგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 26 იანვრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონის 34-ე მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ო. ჩერქეზიანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 29 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

ამხ. ტ. ვ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **აღგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 7 დეკემბრის ბრძანებულება ამხ. ტარიელ ვლადიმერის ძე **ლორთქიფანიძის** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის თაობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ო. ჩერქეზიანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 29 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

ამხ. ბ. დ. მახარაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **აღგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 7 დეკემბრის ბრძანებულება ამხ. ბეგლარ დიმიტრის ძე **მახარაშვილის** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ო. ჩერქეზიანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 29 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ. ა. ლაბახუას საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **აღგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ზურაბ აკაკის ძე **ლაბახუას** საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ო. ჩერქეზიანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 29 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ზოგიერთი პირის თანამდებობიდან განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **აღგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1988 წლის 2 დეკემბრისა ამხ. ალექსი ნიკოლოზის ძე ინაურის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ გადადგომასთან დაკავშირებით;

1988 წლის 2 დეკემბრისა ამხ. გივი გრიგოლის ძე გუმბარიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1988 წლის 30 დეკემბრისა ამხ. სერგო ტარასის ძე რიგვავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობიდან გამოყვანის შესახებ მისი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოვალეობისაგან განთავისუფლებასა და პარტიულ სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით;

1988 წლის 30 დეკემბრისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის ამხ. ზურაბ პავლეს ძე მახარაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის შესახებ;

1989 წლის 20 იანვრისა ამხ. რესან ხასანის ძე კონცელიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის — საქართველოს სსრ მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ო. ჩერქეზიანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 29 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **აღგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ო. ჩერქეზიანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 29 მარტი.

მეკამეჩეთა საიჯარო ბრიგადა

ერთი წელიც არ არის მას შემდეგ, რაც ყვარლის რაიონის ქინძმარაულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში გამოცდილი ზოოტექნიკოსის თენგიზ გოგიტაშვილის ხელმძღვანელობით მეკამეჩეობის საიჯარო ბრიგადა შეიქმნა და უკვე 250-მდე სულ კამეჩს უვლიან ბრიგადის წევრები. ხელშეკრულების თანახმად მათ შარშან 42 ტონა რძე და 24 ტონა ხორცი აწარმოეს, ხოლო წველადობის ყოველთვიური მაჩვენებელი 4,5 ტონამდე გაზარდეს.

ბრიგადას, რომელშიც ძირითადად ახალგაზრდები საქმიანობენ, მეტად პასუხსაგები სამომავლო გეგმები აქვს დასახული: ხულადობის გაზრდა და ჯოგის ახალობრივი გაუმჯობესება, წველადობის გადიდება და მაწვნის წარმოებისათვის მცირე საამქროს გახსნა.

სურათზე: საიჯარო ბრიგადის წევრები გ. ცქიტიშვილი, ი. ზირაქიშვილი, ბრიგადირი — თ. გოგიტაშვილი, თ. რუსიაშვილი და მექანიზატორი გ. ალიაშვილი.

ჯაფარ ლომაძის („კომუნისტი“) ფოტო

მინდინარე წლის 1 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონში“, სადაც აღნიშნულია იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ. № 12 მუხ. 253) უნდა იკითხებოდეს ასე:

„29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 29,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სხვა ორგანოები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებოა სამეურნეო სოციალურ-კულტურული მშენებლობის საქმეთა კომიტეტები“... შემდეგ როგორც ტექსტშია.

პრობლემა

ბიოლოგიურად სუფთა მიწათმოქმედებისათვის

მიწათმოქმედება განიხილება, როგორც კულტურულ მცენარეთა მოვლა-მოყვანის პროცესი. ეს უკანასკნელი კი სწორი მიწათსარგებლობის გარეშე შეუძლებელია. მიწათსარგებლობის შედეგად კი განუწყვეტლივ მცირდება მიწის უკუგება, მისი ღალიანობა. არადა პლანეტის მუდმივად მზარდი მოსახლეობის სრულფასოვანი გამოკვება ჭეშმარიტად გლობალური პრობლემაა.

ამ რთული პრობლემის მატერიალიზაციისათვის მიწათმოქმედების სამსახურშია ინტენსიფიკაციის ისეთი მძლავრი ფაქტორები, როგორიცაა ყოველმხრივი მექანიზაცია, ქიმიზაცია, მიწების მელიორირება, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, უხვმოსავლიანი და მაღალხარისხოვანი ჯიშის მცენარეებისა და მაღალპროდუქტიული ცხოველების გამოყვანა, საწარმოთა ორგანიზაციისა და მართვის ახალი ფორმების დანერგვა, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება, მიწისა და შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა.

დიდია ქიმიის როლი მოსავლიანობის ზრდის, მავნებლებისა და დაავადებებისაგან მცენარეთა დაცვის და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. აქ მთავარი მაინც, ის არის, თუ როგორ ვიყენებთ ქიმიას, ვერკვევით თუ არა, რა გავლენას ახდენს მინერალური სასუქები ნიადაგზე, როგორია მისი გარდაქმნის მექანიზმი მცენარის, ცხოველის და ადამიანის ორგანიზმში.

ნიადაგი ძალზე რთული ცოცხალი ორგანიზმია, მინერალური სასუქების დიდი რაოდენობითა და არარაციონალურად გამოყენების შემთხვევაში კი ირღვევა მისი ნორმალური სიცოცხლე, სასუქები განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს მიწის მიკრობიოლოგიურ შემადგენლობაზე, რასაც მეტად ცუდი შედეგი მოაქვს.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ჩვენი ქვეყნის სამხრეთის რესპუბლიკებში შეინიშნება ბავშვთა დაავადება სპილენძის ნაკლებობის ანომალიით, რასაც ქალის რძეში, ბოსტნეულში, მეცხოველეობის პროდუქტებში სპილენძის ქრონიკული ნაკლებობა იწვევს. ისიც დადგენილია, რომ ყველა სახის აზოტოვანი სასუქი ნიადაგში ყოველთვის წარმოქმნის ამა თუ იმ რაოდენობის ამიაკს. თავის მხრივ ამიაკი სპილენძთან შეერთების შედეგად წარმოქმნის კარგად ხსნად კომპლექსურ შენაერთს, რომელიც მორწყვის, წვიმის თუ სხვა სამუალებით ირეცხება ნიადაგის მცენარეების ფესვებით მოცული ფენებიდან. როდესაც იყენებენ მინერალურ სასუქს ამიაკის სახით, განსაკუთრებით ჩქარა ირეცხება სპილენძი. ამრიგად, რაც უფრო მეტი რაოდენობით იქნება გამოყენებული აზოტოვანი სასუქები, მით უფრო ჩქარა განიდევნება ნიადაგიდან სპილენძი. ამიტომ ადამიანის საკვებ რაციონში მომეტებულად აღინიშნება სპილენძის დეფიციტი.

სპილენძის — ამ მეტად მნიშვნელოვანი მიკროელემენტის ნაკლებობას მტკივნეულად განიცდიან ბავშვები. საკვებ რაციონში მისი ნაკლებობა ხელს უწყობს ავთვისებიანი სიმსივნეების წარმოშობას და განვითარებას, რაც მეტწილად ქიმიის პროდუქტების არაგონივრულად გამოყენების შედეგია.

სამწუხაროდ, წერტილს აქ ვერ დავსვამთ. აზოტოვანი სასუქების დიდი რაოდენობით შეტანის დროს ნიტრატები გადადის (გროვდება) ისეთ სასურსათო პროდუქტებში, როგორიცაა სტაფილო, ჭარხალი, კარტოფილი და სხვა. ამავე დროს ბინძურდება სასმელი წყალიც.

მინერალურ სასუქებს დიდი რაოდენობით იყენებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასავლეთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ჰოლანდიასა და სხვა რიგ ქვეყნებში. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში ეს ქვეყნები დიდ წარმატებებსაც აღწევენ. მაგრამ ამ გზით მიღებული პროდუქტები ბიოლოგიურად სუფთა როდია, მათი მიღება გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული. ამერიკის ერთ-ერთ პოპულარულ გაზეთში გამოქვეყნდა ასეთი ცნობა: „ვიდრე ამერიკელები ონკანის წყალს დალევდნენ, მათ ორჯერ მაინც მართებთ დაფიქრება. 26 მილიონი ამერიკელი სვამს მავნე ბაქტერიებით დაავადებულ „სახიფათო“ წყალს, 10 მილიონი — რადიაქტიური ნივთიერებებით, ხოლო 7 მილიონი პესტიციდებით გაბინძურებულ წყალს. სწორედ ამის მიზეზი იყო, რომ 1987 წელს შეერთებულ შტატებში აღინიშნა სასმელი წყლის სისუფთავის კანონის დარღვევის ასი ათასზე მეტი შემთხვევა“...

რაც შეეხება დასავლეთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, იქ ჯერ კიდევ ადრე იგრძნეს კარს მომდგარი საშიშროება და მასობრივად დაიწყეს მასშტაბური ღონისძიებების განხორციელება, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

იქნებ ყველამ არც იცის, რომ ამიაკი და აზოტის ქვეჟანგი ჰაერზე უფრო მსუბუქია, იგი ნიადაგიდან ადვილად ორთქლდება და ატმოსფეროს ზედა შრეებში არღვევს ოზონის ფენას, რომელიც დედამიწას მავნე ულტრაიისფერი სხივებისგან იცავს. რამდენიმე ათეული წლის მანძილზე აზოტოვანი და სხვა სახის მინერალური სასუქების დიდი რაოდენობით გამოყენების შედეგად ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერება მნიშვნელოვნად შემცირდა. იგი გაღარიბდა. ასევე დიდად შემცირდა ნიადაგში ისეთი ცოცხალი და სასარგებლო ორგანიზმები; როგორიცაა ჭიაყელები, აზოტ-მაფიქსირებელი მიკროორგანიზმები და სხვები, რომლებიც ხელს უწყობენ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას. ამიტომ, ნუ გაგიკვირდებათ, რომ ბევრ ქვეყანაში ამჟამად ხელოვნურად ამრავლებენ ჭიაყელებს და „ასახლებენ“ მათ მინდვრებსა და ბოსტნებში. ბევრგან მიწის ნაყოფიერებას ამ საზომით საზღვრავენ კიდეცაც.

ომამდელ და ომისშემდგომ წლებში მინერალური სასუქები და, უწინარესად აზოტი, მისი წარმოების დაბალი დონის გამო, მასობრივად ხელისაწვდომი არ იყო, როგორც ახლა არის. ამიტომ ამ ნივთიერების გამოყენება ბოსტნეული კულტურების გასანოყიერებლად ალბათ არავის აზრადაც არ მოსდიოდა. იმდროინდელი ბოსტნეული ზომითა და წონით მართალია ახლანდელზე ბევრად ნაკლები იყო, მაგრამ ისეთი გემო და არომატი ჰქონდა, რომ მისი ჭამა დიდ კმაყოფილებას ჰგვრიდა ადამიანს. ახლა? სადღაა მათი ძველებური გემო და არომატი. ახლა თითქმის ოც ამ საქმეში კონკრეტული ხელმძღვანელობის ნაცვლად მრჩევლის როლს უფრო სჯერდება. არადა, ნიტრატები მხოლოდ მაშინ ხდება ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში, როცა საკვებ პროდუქტებში გროვდება დასაშვებ ნორმაზე გაცილებით მეტი. თუ არ ვიცით ნორმა, მაშინ როგორ გავიგოთ, როგორ დავადგინოთ რა რაოდენობის აპესტიციდი და ნიტრატი არის ამა თუ იმ პროდუქტში, როდესაც არ არსებობს ამ საწამლავი ნივთიერებების შესამოწმებელი სპეციალური ლაბორატორიები?

საკვები პროდუქტებისადმი ზარელე მიდგომის შედეგად ალმათის ხილ-კონსერვის კომბინატის მიერ გამომშვებულ სტაფილოს წვენში აღმოჩნდა დასაშვებ ნორმაზე ორჯერ მეტი „ქიმია“, ეს მაშინ, როდესაც ამ წვენს იყენებენ ახალგაზრდა დედები ბავშვების საკვებად. შარშან ყაზახეთის სს რესპუბლიკაში შემოწმებული 9.106 ნიმუშიდან 12,8 პროცენტი ნიტრატებით გაბინძურებული აღმოჩნდა. ამ მხრივ კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა იყო ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში, სადაც შემოწმებული ნიმუშებიდან 18 პროცენტი აღმოჩნდა ნიტრატებით გაჯერებული.

ყველა ეს დარღვევა-დამახინჯება კი იმიტომაც ხდება, რომ თითქმის არაფერი გაკეთებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის დადგენილების შესასრულებლად, რომელიც ავალდებულებდა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, აგროსამრეწველო კომიტეტს, სახელმწიფო ჰიდრომეტეოროლოგიისა და ბუნებრივი პირობების დაცვის კომიტეტს, წყალთა მეურნეობის სამინისტროს და გეოლოგიის სამინისტროს შეექმნათ სასურსათო პროდუქტებში პესტიციდების ანარჩენების რაოდენობის, მცენარეების ზრდის რეგულიატორების კონტროლის ერთიანი სისტემა.

ზემო აღნიშნულის მიუხედავად, არ ეპარებთ უარი ვთქვათ სოფლის მეურნეობაში აზოტის და საერთოდ მინერალური სასუქების გამოყენებაზე, მაგრამ მთავარია ვიცოდეთ, რომ მინერალური სასუქები მხოლოდ მაშინ მოგვცემს კარგ შედეგს, თუ მას გონივრულად, ბუნების ობიექტური კანონებისა და ადამიანთა ინტერესების შესაბამისად გამოვიყენებთ. ამრიგად, უველაფერი დამოკიდებულია სოფლის მეურნეზე, მისი განათლების, კულტურის, პასუხისმგებლობის დონეზე, იმაზე, თუ როგორ ერკვევა იგი მინერალური სასუქების ინტიმურ რეაქციაში უთანიერთდამოკიდებულების საკითხებში, სასუქების ბუნებასა და მცენარის, ცხოველის და ადამიანის ორგანიზმში, მისი გარდაქმნის მექანიზმში.

მსგავსი სიტუაციები იქმნება ქიმიური საშუალებებით მავნებლებისა და დაავადებებისაგან მცენარეთა დაცვის დროსაც. ამ დანიშნულებით გამოყენებული ქიმიის პროდუქტები სპობს არა მარტო მავნებლებს და დაავადებებს, არამედ საშიშროებას უქმნის სასარგებლო მწერებს, ფრინველებს და მრავალი სახის ცხოველებს, ბუნებრივ ობიექტებსა და ადამიანებს. ამრიგად, ნიტრატები მხოლოდ ბოსტნეულ კულტურებს, ბოსტნეულ ბოსტნებს, ბაღებს, ტყეებს, ველებს, ტბებს, ზღვებს, ოკეანეებს, ადამიანებს, ფრინველებს, ცხოველებს, ფრინველებს, ბოსტნეული, ხეხილი, ბალახი, ბალახეული, ბალახეულ ბალახეულ, ბალახეულ ბალახეულ, ბალახეულ ბალახეულ

ნიშანი მამულიშვილობისა

უკვე მესამედ ვხვდებით რაფიელ დვალის დაბადების დღეს უმიზოდ. წელს 80 წლისთავს იზეიმებდა ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის ეს თვალსაჩინო წარმომადგენელი, უაღრესად არაორდინარული პიროვნება. ახლა, როდესაც იგი ჩვენს შორის აღარ არის, უფრო ძალუმად ვგრძნობთ, რა შეუვსებელი ადგილი დარჩა მის შემდეგ.

რაფიელ დვალი ცნობილ განათლებულ ოჯახში იზრდებოდა ქუთაისში. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სადაც მან ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია მიიღო, დაუკავშირდა მისი ბედი პროფესორ კოსტანტინე ამირეჯიბს. იგი იყო მასთან ასისტენტად, ჯერ ამიერკავკასიის მერე იყო ომი. რ. დვალმაც სხვა მრავალ თანატოლთან ერთად ჩაიცვა ჯარისკაცის ფარაჯა. დემობილიზაციის შემდეგ, როდესაც გადაწყდა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობა, რაფიელ დვალის ინიციატივით საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიხსნა კათედრა ავტომშენებელთა და კონსტრუქტორების მოსამზადებლად. ამ პერიოდისათვის მას და პროფესორ ვ. მახალდიანს უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდათ ახალი მეცნიერული მიმართულება — სამთო პირობებში მომუშავე მობილური მანქანების კვლევა. ამ მიმართულებამ აღიარება ჰპოვა, როგორც ჩვენში, ასევე მის ფარგლებს გარეთ მომუშავე მეცნიერებს შორის. ამ-ჟამად მსგავსი კვლევები ინტენსიურად მიმდინარეობს ჩვენი სახელმწიფოს სხვა მთიან რეგიონებში: სომხეთში, აზერბაიჯანში, შუა აზიის რესპუბლიკებში, ბელორუსიაში, მოლდავეთში და სხვაგან. ამ სამუშაოებისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტმა, პირადად ამ ინსტიტუტის დამაარსებელმა და მისმა დირექტორმა აკადემიკოსმა ე. ჩუდაკოვმა; დაინყო ფართო თანამშრომლობა ამ საკითხებში. გაიზარდა ამ საკითხით დაინტერესებულ გამოჩენილ მეცნიერთა რიცხვი (პროფესორები მ. კრისტი, გ. ზიმელოვი, ბ. ლვოვი და სხვ.). დაისახა ერთობლივი სამუშაოები. ბატონი რაფიელის სამეცნიერო მოღვაწეობის აღიარების დადასტურებად უნდა ჩაითვალოს მისი არჩევა გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად და დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. დრეზდენის ტექნიკურმა უნივერსიტეტმა არაერთხელ მოაწყო ერთობლივი სხდომა ბატონ რაფიელისა და მისი უახლოესი მოწაფეების მონაწილეობით. ეს საქმიანი კავშირი ჩვენ და გერმანელ მეცნიერებს შორის დღესაც გრძელდება. მომავალი წლისათვის იგეგმება პროფესორების ა. ანტესა და რ. დვალის ხსოვნისადმი მიძღვნილი კოლოქვიუმი. ბევრი სასარგებლო რამ გაკეთდა და კეთდება უნგრელ მეცნიერთა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთობლივი მეცადინეობით.

მისი პიროვნების ერთი ყველაზე გამორჩეული ნიშანი იყო გულმხურვალე პატრიოტიზმი. რაოდენ დაკავებული იყო ყოველთვის, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ არცერთი ახალი ნაშრომი, დაკავშირებული საქართველოს ისტორიასთან, არ გამორჩენია. აქტიურად მონაწილეობდა ისტორიული ძეგლების შესწავლასა და მათი აღდგენის სამუშაოთა ორგანიზაციაში. თითქმის არ არსებობს საქართველოში ისტორიული ძეგლი, მას რომ არ დათვალიერებინოს სათანადო მასალების შესწავლის შემდეგ. ერთხელ, ვიდრე ავადმყოფობა ძლიერად შეუტევდა, ვანში მოვხვდით უცხოელ სტუმართან ერთად, გიდის როლი ბატონმა რაფიელმა იკისრა. ეს იყო შეგროვილ მასალებზე დამყარებული ინფორმაციის გადმოცემის საუკეთესო მაგალითი. ყოველ ნაბადებში იგრძნობოდა ფაქტების მკაცრი შეფასება, ემოციებს, ცრუპატრიოტიზმს არ აპყოლია.

დვალების დიდი ნაწილი რაჭის ულამაზეს სოფელ ზედა შაკრში ცხოვრობს. იქ არის ბატონ რაფიელის მამაპაპეული სახლიც. მახსოვს, როგორ წუხდა, სოფელში ბიბლიოთეკა არა აქვთო. გადაწყვიტა და გააკეთა კიდეც: მამაპაპისეულ სახლში ბიბლიოთეკა მოაწყო და სოფელს გადასცა. ახლა ზედა შაკრს ამშვენებს ბატონ რაფიელის ეს დიდი მნიშვნელობის მცირედი საჩუქარი, ნიშანი მისი კარგი კაცობის, მამულიშვილობის, მაღალი ზნეობრიობისა.

რევაზ ფარცხალაძე.
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი.

ექიმები მთაში მიფრინავენ

ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური რესპუბლიკური საავადმყოფოს გამსვლელი სასწრაფო და საგეგმო-საკონსულტაციო დახმარების განყოფილების სადისპეტჩერო „სანავიაში“ იმმის საქალაქთაშორისო ტელეფონის ზარი: „აზნაურის რაიონული ცენტრიდან დაუყოვნებლივ დახმარებას ითხოვენ — საქართველოს სამხედრო. გზის დარიალის ხეობის ვიწროებში ცხვრის გადარეკვის დროს ავად გახდა მწყემსი...

ოპერატორი ჯერ კიდევ არკვევს დაწერილებით ცნობებს, რესპუბლიკის სანავიასამსახურის უფროსი კი უკვე უკავშირდება თბილისის აეროპორტს და დისპეტჩერებს სთხოვს სასწრაფოდ მოამზადონ ვერტმფრენავი მთაში გასაფრენად. გამოძახებიდან უკვე ნახევარი საათის შემდეგ ვალერი შახნაზაროვმა ვერტმფრინავს გეზი აუბზეგისაკენ ააღებინა...

რესპუბლიკის სოფლის რაიონების, განსაკუთრებით ძნელად მისადგომ ადგილებში, მოსახლეობის სასწრაფო მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების ორგანიზაცია „სანავიას“ ძირითადი ამოცანაა, — თქვა გ. კანდელაკმა. — ამ საქმისთვის უკვე სახეობის ტრანსპორტს იყენებენ. მედიკოსები ოპერატიულად იკვლევენ ავადმყოფებს, ჩაიქვთ სასწრაფო სამედიცინო ტვირთი, მედიკამენტები, საჭიროების შემთხვევაში კი ავადმყოფები სპეციალიზებულ სამკურნალო დაწესებულებაში გადაჰყავთ.

ზუთახი კილომეტრი — ასეთია საქართველოს სანიტარიული ავიაციის მოქმედების რადიუსი. მისი კონსულტანტები არიან რესპუბლიკის საუკეთესო სპეციალისტები — კარდიოლოგები, ქირურგები, ტრავმატოლოგები და ინფექციონისტები.



სურათზე: მეორე პილოტი გენადი სემონოვი, „მი-8“ ეკიპაჟის მეთაური ვალერი შახნაზაროვი, მედდა მანანა ლაცაბიძე და ბორტმექანიკოსი ოთარ ფეიქრიშვილი მორიგი გაფრენის წინ.

საქინფორმის ფოტო.

უშიშროების საბჭო

განიხილეს ლიბანის ვითარება

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მოაწყო სხდომა, რომელზეც განიხილა ლიბანის ვითარება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ უმნიშვნელოვანესი ორგანოს წევრთა სახელით განცხადება გააკეთა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ ალბა კლოდ დიალომ (სენეგალი).

უშიშროების საბჭოს წევრები, აღნიშნულია განცხადებაში, დიდ შეშფოთებას გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ ამას წინათ გაუარესდა ლიბანის ვითარება, რასაც მოჰყვა მრავალი მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში და მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი.

ითვალისწინებენ რა საფრთხეს, რომელსაც ქმნის ასეთი მდგომარეობა მსოფლიოსათვის, ამ რეგიონის უშიშროებისა და სტაბილურობისათვის, ისინი მხარს უჭერენ ყველა ღონისძიებას, რომლებიც ხორციელდება ამჟამად ლიბანის კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით, კერძოდ, ღონისძიებებს, რომლებსაც ახორციელებს არაბული ქვეყნების ლიგის მინისტრთა კომიტეტი კუვეიტის საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელობით.

● **საფრანგეთი**

მოლაპარაკება დამთავრდა

პარიზი. საფრანგეთში დამთავრდა ესპანეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ფელიპე გონსალესის ვიზიტი, რომლის ცენტრში იყო ისეთი საკითხები, როგორიც არის ევროპის ქვეყნების ურთიერთობა, საფრანგეთ-ესპანეთის თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში და ერთობლივ ღონისძიებათა გაკეთილშობილება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ესპანეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მოლაპარაკება გამართა პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანთან და პრემიერ-მინისტრ მიშელ როკართან.

საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურთან პირისპირ საუბრის შედეგების მიხედვით ფელიპე გონსალესმა აღნიშნა, რომ არსებობს „სიძნელენი“, რომლებიც თან სდევს მოსამზადებელ მუშაობას ევროპის გაერთიანების ეგრეთ წოდებული ერთიანი საშინაო ბაზრის შექმნის წინ. თანამოსაუბრეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ევროპის ეკონომიკური, გაერთიანების ძალების კოორდინაციის საკითხებს.

გამართულ საუბრებში ცენტრალური ადგილი დაიკავა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში შემდგომი ურთიერთმოქმედების საკითხებმა. როგორც ფელიპე გონსალესმა თქვა, თანამშრომლობა ამ სფეროში პოზიტიურად ვითარდება, მისი გააქტიურება გრძელდება.

● **ავსტრია**

კალთას აფარებენ ჯალათს

ვენა. იოზეფ ეკერტი, ეროვნებით ავსტრიელი, შეერთებული შტატებიდან გაფრინდა შვეიცარიაში, იქიდან კი ავსტრიაში ჩავიდა. იგი ზალცბურგში ჩაფრინდა, შემდეგ ეწვია ქალაქ ველსში ნათესავებს. ამ მარშრუტში არაჩვეულებრივი არაფერი ყოფილა, ერთი გარემოება რომ არა. ადამიანი, რომელზეც ახლა ვლაპარაკობთ, ეს-ეს არის დეპორტირებულია ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც დაახლოებით ოცდაათ წელს ცხოვრობდა. გამეღვნდა ფაქტი, რომელსაც იგი მალავდა: მეორე მსოფლიო ომის წლებში ეკერტი მუშაობდა ოსვენციმის ჰიტლერულ საკონცენტრაციო ბანაკში.

რატომ დასვირნობს იგი ახლა ავსტრიაში დაუბრკოლებლად და არ აგებინებენ პასუხს? ამ სამართლიან კითხვას სვამს ალპური რესპუბლიკის საზოგადოებრიობა.

ქვეყნის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით თუ ვემსჯელებთ, ნაცისტი დამნაშავის დაპატიმრებას ჯერჯერობით არ აპირებენ იმის გამო, რომ არა აქვთ „საკმარისად სერიოზული“ სამხილები. გარდა ამისა, გამოაცხადეს, რომ ოფიციალური ინსტანციები აპირებენ ჯერ „დაზუსტონ ეჭვმიტანილის“ პიროვნება. საქმე ის არის, რომ ავსტრიის არქივებში არის მოწმეთა ჩვენებებზე დაფუძნებული მონაცემები ოსვენციმში ესესელი ჯალათის იოზეფ ეკერტის მხეცობის შესახებ. მაგრამ მისი გვარი (თუ მას გერმანულად წაიკითხავთ) ერთი ასოთი „განსხვავდება“ ამერიკიდან გამოძევებული ყოფილი ნაცისტის პასპორტში ჩაწერილისაგან.

ერთიანი ევროპა ეროვნული ინტერესებისა

ბუნდესტაგის ექსპერტის მოწოდება ნატოს ხელმძღვანელობისადმი

ბონი. ჩრდილოეთატლანტიკური კავშირის ხელმძღვანელობას გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის წამყვანმა ექსპერტმა ბუნდესტაგში საგარეო პოლიტიკის საკითხებში კარსტენ ფოიგტმა მოუწოდა „დაჩქაროს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების დასახული პროცესი, განიარადების საკითხებზე საკუთარი ინიციატივების წამოყენების გზით“.

ნატოს შექმნის დროს მის მთავარ ამოცანად ჩამოყალიბებული იყო დაშინება და დაცვა მოსალოდნელი საბჭოთა თავდასხმისაგან, განაცხადა ფოიგტმა ბლოკის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ სატელევიზიო დისკუსიაში. საბჭოთა კავშირს არა აქვს არავითარი განზრახვა, თავს დაესხას დასავლეთს, პირიქით, იგი მნიშვნელოვნად ამცირებს თავის შეტევით პოტენციალს, ამიტომ ახლანდელ პირობებში ჩრდილოეთატლანტიკურმა ალიანსმა უნდა იკისროს ახალი ამოცანები — ყოველმხრივ შეუწყოს ხელი განიარაღების პროცესსა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

ფოტოფაქტი

აშშ. მასობრივ დაპატიმრებას მიმართა პოლიციამ დემონსტრაციის დროს, რომელიც გაიმართა ნიუ-იორკში ფედერალური ხელისუფლებათა წარმომადგენლობის შენობასთან. მანიფესტანტები პროტესტს აცხადებდნენ სალვადორის საშინაო საქმეებში შეერთებული შტატების ჩარევის წინააღმდეგ და ვაშინგტონისაგან მოითხოვდნენ სალვადორის რეპრესიული რეჟიმისათვის სამხედრო და ფინანსური დახმარების შეწყვეტას.

სურათზე: დემონსტრაციის ერთ-ერთი მონაწილის დაპატიმრების დროს.

აპ-საკადრის ფოტო.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისაგან

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი იუწყებიან 1987 წლამდე მიმოქცევაში გამოშვებული მონეტების შემდეგი სახეობების ნიმუშების მიხედვით გაუმჯობესებული ხარისხის საბჭოთა სამახსოვრო და საიუბილეო მანეთიანი მონეტების დამატებითი დამზადების შესახებ:

— ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავის აღსანიშნავად (1965 წლის გამოშვება);

— საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავად (1967 წლის გამოშვება);

— 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხელხის გამარჯვების 30 წლისთავის აღსანიშნავად (1975 წლის გამოშვება);

— დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის აღსანიშნავად (1977 წლის გამოშვება);

— კოსმოსში ადამიანის — სსრ კავშირის მოქალაქის ი. ა. გაგარინის პირველი გაფრენის 20 წლისთავის აღსანიშნავად (1981 წლის გამოშვება);

— საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის აღსანიშნავად (1981 წლის გამოშვება);

— საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად (1982 წლის გამოშვება);

— კარლ მარქსის დაბადების 165 წლისთავთან და მისი გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით (1983 წლის გამოშვება);

— კოსმოსში ქალის — სსრ კავშირის მოქალაქის ვ. ვ. ტერეშკოვას პირველი გაფრენის 20 წლისთავთან დაკავშირებით (1983 წლის გამოშვება);

— რუსი პირველმბეჭდავის ივანე ფიოდოროვის გარდაცვალების 400 წლისთავთან დაკავშირებით (1983 წლის გამოშვება);

— ა. ს. პუშკინის დაბადების 185 წლისთავთან დაკავშირებით (1984 წლის გამოშვება);

— ა. ს. პოპოვის დაბადების 125 წლისთავთან დაკავშირებით (1984 წლის გამოშვება);

— დ. ი. მენდელეევის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით (1984 წლის გამოშვება);

— დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად (1985 წლის გამოშვება);

— ქ. მოსკოვში ახალგაზრდათა და სტუდენტთა მე-12 მსოფლიო ფესტივალის გამართვასთან დაკავშირებით (1985 წლის გამოშვება);

— ფ. ენგელსის დაბადების 165 წლისთავთან დაკავშირებით (1985 წლის გამოშვება);

— ვ. ი. ლენინის დაბადების 115 წლისთავთან დაკავშირებით (1985 წლის გამოშვება);

მ. ვ. ლომონოსოვის დაბადების 275 წლისთავთან დაკავშირებით (1986 წლის გამოშვება);

—1986 წელს მშვიდობის საერთაშორისო წლის მოწყობასთან დაკავშირებით (1986 წლის გამოშვება);

დამატებით დამზადებული მონეტების შუბლი და უკანასკნელი საკუთარი შეესაბამება ნიმუშებს. მონეტების გვერდის ზედაპირზე არის შემდეგი წარწერები:

— ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავის აღსანიშნავად: „9 მაისი 1965“, „1988“ და ასო „ნ“, რომლებიც გამოყოფილია ორი ვარსკვლავით და წერტილით;

—დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავის აღსანიშნავად: „9 მაისი 1975“, „1988“ და ასო „ნ“, რომლებიც ორი ვარსკვლავით და წერტილით არის გამოყოფილი.

— საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავად: „დიდება დიდ ოქტომბერს“, „1917-1967“, „1988“ და ასო „ნ“, რომლებიც სამი ვარსკვლავით და წერტილით არის გამოყოფილი.

დანარჩენი მონეტების გვერდის ზედაპირებზე არის წარწერები: „ერთი მანეთი“, „1988“ და ასო „ნ“, რომლებიც სამი წერტილით არის გამოყოფილი.

გაუმჯობესებული ხარისხის მონეტები დამზადებულია 55 ათასი ტირაჟით თითოეული სახეობის მიხედვით და გათვალისწინებულია მოსახლეობისათვის მისაყიდად კოლექციონირებისათვის დაწესებული საცალო ფასებით.

მიმოქცევაში გამოშვებული მონეტები, ამჟამად მიმოქცევაში არსებულ მონეტებთან ერთად, სავალდებულოა მიიღონ ნომინალით სახელმწიფო, კოოპერაციულმა და საზოგადოებრივმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და ცალკეულმა პირებმა ყოველგვარი გადასახადისას, აგრეთვე სსრ კავშირის ბანკების დაწესებულებებმა და კავშირგაბმულობის სამინისტროთა საწარმოებმა მიმდინარე, საანგარიშსწორებო ანგარიშებზე ჩასარიცხავად, ანაბრებად, აკრედიტივებად და გზავნილებად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

ზღვისპირეთის გაჭიანურებული მშენებლობები

ამჟამად აჭარაში ოცდაათამდე ჯანმრთელობის კერაა. მათი უმეტესობა შუდმივმოქმედია. სამედიცინო მომსახურებისა და ეფექტიანი მკურნალობის მიზნით სანატორიულ-სამკურნალო დაწესებულებები უახლესი დიაგნოსტიკური და სამკურნალო აპარატურით აღიჭურვა, სანატორიუმებში დაინერგა კარტოგრაფიული და სპიროგრაფიული გამოკვლევები, გაიხსნა ახალი პოლიკლინიკები. მკურნალობის ეფექტიანობაზე ისიც მეტყველებს, რომ ბევრი დამსვენებელი ცდილობს აჭარაში კვლავ ჩამოვიდეს.

როგორ მოემზადა აჭარის კურორტთა მართვის საბჭო სეზონისათვის, რა სიახლეები დაინერგა, როგორია პერსპექტივები? აი, საკითხები, რომლის გარკვევა გადავწყვიტეთ.

აჭარის ზღვისპირეთის ჯანმრთელობის ზონაში ბევრი იყო ამორტიზებული ნაგებობა, რომელიც ვეღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს. ახლის აშენებასა თუ ძველის რეკონსტრუქციას სჭირდებოდა დიდი კაპიტალდაბანდებანი, რისი საშუალებაც აჭარის კურორტთა მართვის საბჭოს არ ჰქონდა. იგი იძულებული გახდა გამოსავალი მოეძებნა, კერძოდ — მიმართა ჩვენი და სხვა რესპუბლიკების მსხვილ საწარმოებს და შესთავაზა მონაწილეობა მიეღოთ ჯანმრთელობის კერების მშენებლობა-რეკონსტრუქციაში, სანაცვლოდ სთავაზობდნენ საგზურებს. გულახდილად ჭნდა ვთქვათ, რომ სხვა რესპუბლიკების საწარმოები აჭარის კურორტთა მართვის საბჭოს ხალისით გამოეხმაურნენ და საქმესაც შეუდგნენ, ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე საწარმომ თანადგომა იმით გამოხატა, რომ მხოლოდ ხელშეკრულება გააფორმა. სასურველი კი იყო ჩვენს საწარმოებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს კურორტების განვითარებაში. ამას მოითხოვდა რესპუბლიკის ინტერესები და მშრომელთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

მოგეხსენებათ, რა დიდი საშუალებები აქვს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას. შარშან სექტებერში მეტალურგებმა ხელშეკრულება გააფორმეს აჭარის კურორტთა მართვის საბჭოსთან. ხელშეკრულება ითვალისწინებდა პანსიონატ „მზიურის“ საძინებელი კორპუსის რეკონსტრუქცია-რემონტს, რომლის ხარჯთაღრიცხვა შეადგენდა 2,5 მილიონ მანეთს. პანსიონატი ზღვისპირეთის თვალწარმტაც ადგილზეა გაშენებული. ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 თვე გავიდა, რუსთაველებს კი საქმის სასარგებლოდ, როგორც იტყვიან, ჩხირიც არ გადაუბრუნეროს ხელმძღვანელობამ. გულგრილობით სხვა ორგანიზაციებს აჯობა. ვალდებულებით მათ რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები უნდა ჩაეტარებინათ. პანსიონატ „ქარიშხალაში“, რაც 4 მილიონი მანეთი დაჯდებოდა. ვის ჰქონდა ისეთი დიდი შესაძლებლობები, როგორიც საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს. მათ მშენებლობა უნდა დაეწყოთ 1987 წელს და დავმთავრებინათ 1989 წელს. ფაქტობრივად საქმისთვის ხელი არც მოუკიდიათ. აჭარის კურორტთა მართვის საბჭო იძულებული გახდა ხელშეკრულება გაეუქმებინა.

„კოლხეთმშენმა“ 1983 წელს დაიწყო სანატორიუმ „ქობულეთის“ კაპიტალური რემონტი. რაზეადაც ხარჯთაღრიცხვით 4 მილიონი მანეთი უნდა დაიხარჯოს. რემონტთან ერთად უნდა ააშენონ საძილე კორპუსი. სამწუხაროდ, რემონტიც და მშენებლობაც გაჭიანურდა. გეგმით სანატორიუმი წელს უნდა გადაეცეს საექსპლუატაციოდ, ფაქტობრივად კი ჯერ მესამედი თანხაც არ არის ათვისებული.

პარტიის XXVII ყრილობაზე, მომდევნო პლენუმებზე ხაზგასმით ითქვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მომსახურების, განსაკუთრებით ჯანდაცვის სფეროს გადაეცემა საექსპლუატაციოდ, მაგრამ შევნიშნავთ, რომ შიგა სამუშაოები ნელა მიმდინარეობს.

მთავრდება პანსიონატ „ჰორიზონტის“ 630-ადგილიანი კინოკლუბის მშენებლობა. წელს მაისში ჩაბარდება პანსიონატ „ცისარტყელას“ 105-ადგილიანი ახალი კორპუსი. ასევე ივლისამდე საექსპლუატაციოდ გადაეცემა 200-ადგილიანი პანსიონატი „ფიჭვნარი“. წლის ბოლომდე „ფიჭვნარს“ მიემატება მეორე, 140-ადგილიანი კორპუსი.

ამჟამად მიმდინარეობს ქობულეთის საკურორტო პოლიკლინიკის რეკონსტრუქცია, მშენებლობა უნდა დამთავრდეს წლის ბოლოს. იგი მოემსახურება ქალაქისა და კურორტის ზონას. ახალი პოლიკლინიკა ყოველდღიურად 1000 კაცს მიიღებს. ძირითადად უმკურნალებენ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. ახალ სეზონს მომზადებული ხვდება სანატორიუმი „აჭარა“. მის კეთილმოწყობაზე 170 ათასი მანეთი დაიხარჯა.

პანსიონატებში „ჰორიზონტსა“ და „ცისარტყელაში“ დანერგეს „მზის წყარო“, რაც დიდძალ საწვავს ზოგავს. ასეთი სითბოს წყარო თანდათან მკვიდრდება კურორტში. ქალაქ ქობულეთის ზონაში აღმოჩნდა მინერალური წყალი, რომელიც იოდ-ბრომითაა გაჯერებული, რაც კანისა და ნერვული დაავადებების უებარი წამალია, ამჟამად შენდება სამკურნალო საბანანი.

კურორტის ზონაში დამსვენებლებს მრავალი სიახლე დახვდებათ. ამოქმედდა „მომღერალი შადრევანი“, ზღვისპირა პარკი კეთილმოეწყო, მუშაობს ატრაქციონი, დაირგო ათასობით ძირი ფიჭვი, მოეწყო გზები, ქუჩები და სკვერები.

შეიძლება ითქვას, რომ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ჯერ გასაკეთებელიც ბევრია. აი, მაგალითად, თავის დროზე კარგი საქმე გაკეთდა, კურორტთა მართვის საბჭომ რეკონსტრუქცია უყო წყალსადენს, რომელიც ამარაგებს ცხისსქირის ზონის ჯანმრთელობის კერებს. მძლავრი ტუმბოები განუწყვეტელი ექსპლუატაციის შედეგად გაცვდა. მეორე წელია რესპუბლიკური საბჭო საქართველოს მთავარწყალმომარაგების წინაშე აყენებს საკითხს გამოყონ ახალი ტუმბოები, მაგრამ ამაოდ. ამის გამო წყლით შომარაგებაში ხშირია შეფერხებები. კურორტი უწყლოდ შეუძლებელია, ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დღეში აღმოჩნდებიან დამსვენებლები და მომსახურე პერსონალი. ასეთი კურიოზული მდგომარეობა დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. საკითხავია, რატომ იქცა პრობლემად ახალი ტუმბოების გამოყოფა?

1982 წლის შემდეგ კურორტთა მართვის საბჭოს სისტემის მუშამოსამსახურეებისათვის საცხოვრებელი სახლი არ აუშენებიათ. 120 კაცი რიგს ელოდება, უმრავლესობა ამორტიზებულ და ბარაკული ტიპის შენობებშია შეხიზნული. მთავრობის დადგენილების შესაბამისად, 2000 წლისთვის ყოველი ოჯახი უზრუნველყოფილი უნდა იყოს კომფორტული ბინით. მაგრამ საამისოდ ნაბიჯი თუ არ გადაიდგა, დადგენილება როგორ შესრულდება? თუნდაც შენობის ჩონჩხი აგვიგონ, დანარჩენს ჩვენ დავამთავრებთო, ამბობენ კურორტთა მართვის საბჭოში.

ამ დღეს კურორტთა მართვის საბჭოში განაწყენებულ დამსვენებელთა საყვედურები მოვისმინე: ერთფეროვანია კერძები, რძის ნაწარმი ცოტაა, თვითმფრინავის ბილეთს ვერ იშოვი. შვებულების ვადა მიიწურა, ურალამდე მატარებლით როდისღა ჩავაღწევთ... სამართლიანი საყვედურებია. რაღა დასვენებაა, თუ ასეთი ხარვეზები ახლავს?

კურორტთა მართვის საბჭოს თავმჯდომარის ირაკლი ჯაშის კაბინეტში ჯანმრთელობის კერების ხელმძღვანელებმა დამსვენებელთა საყვედურს საკუთარიც დუმატეს. — ცუდად გვამარაგებენ, არა გვაქვს იმის საშუალება, რომ დამსვენებელთა წინასწარი შეკვეთა მივიღოთ. 40 პროცენტ საქონლის ხორცს გვაძლევენ, 60 პროცენტს — ქათმისას. ისიც მდარე ხარისხისაა. ბუღალტერმა ციფრებიც მოიშველია, შარშან არ მიგვიღია 60 ტონა კარტოფილი, 60 ტონა ხილი, 78 ტონა ბოსტნეული, დაგვგვიანა ყვავილისა და ხაჭოს ნახევარი. უკეთესი მდგომარეობა არც წელს არის. გასულ 2 თვეში დაგვაკლეს 2,8 ტონა ხაჯო, 2,1 ტონა ყველი, 13 ტონა ბოსტნეული, 9 ტონა კარტოფილი, 13 ტონა ხილი. რა თქმა უნდა, ასეთი ცუდი მომარაგებით დამსვენებელი კმაყოფილი ვერ დაგვრჩება.

ამას ემატება სხვა სიძნელეებიც. მარტის ცივი დღეები იდგა. ჯანმრთელობის კერების ხელმძღვანელებმა თქვეს, ორი დღეა საწვავი არ გვაქვს, კორპუსები არ თბებაო.

როგორც ვხედავთ, აჭარის კურორტებზე მრავალი პრობლემაა გადასაწყვეტი. მათი მოგვარება მარტო კურორტთა მართვის საბჭოს არ ძალუძს. ვფიქრობთ, აუცილებელია საქართველოს დიდმა საწარმოებმა მეტი აქტიურობა გამოიჩინონ და თავიანთი სიტყვა თქვან კურორტის შემდგომი განვითარების საქმეში.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

სურათზე: პანსიონატ „ბათუმის“ მშენებარე კორპუსი.

მუსიკა

კვლავ საქვეყნო სამყაროში

როდესაც კომპოზიტორ სულხან ცინცაძის ახალი ნაწარმოების მოსასმენად განვეწყვე, უნებურად დავფიქრდი: არცთუ ისე დიდი ხანია, კომპოზიტორმა დაამთავრა „24 პრელუდია ვიოლინისა და კამერული ორკესტრისათვის", მას მოჰყვა „რეკვიემი", მცირე ფორმის თხზულებანი, სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის „გაორკესტრების ტექნიკა", და აი, კიდევ ერთი ახალი ქმნილება — „8 მინიატურა კვარტეტისათვის".

ჟუშმარტად შესაშური შემოქმედებითი ნაყოფიერებაა. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ სულხან ცინცაძის მუსიკალურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ კომპოზიტორთა კავშირმა იგი სახალხო დეპუტატად აირჩია.

სულხან ცინცაძე მსმენელებს ხვდებოდა, მართავდა კონცერტებს და თავის შემოქმედებითს პოზიციას და გეგმებს აცნობდა მათ. რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში გამართულ კონცერტებზე კომპოზიტორი ხელოვნიელი არ წარმდგარა მსმენელთა წინაშე— კარგად ცნობილ ნაწარმოებებთან ერთად პირველად შესრულდა „8 მინიატიურა კვარტეტისათვის".

გადაუჭარბებლად ვიტყვი — ეს არის კამერულ-ინსტრუმენტული ჟანრის ოსტატის მაღალმხატვრული ქმნილება.

ამ ნაწარმოების მოსმენისას გვახსენდება ახალგაზრდა ს. ცინცაძე — პირველი სამი კვარტეტისა და საკვარტეტო მინიატიურების „საჭიდაოს", „მწყემსურის", „ლალეს", „ინდი-მინდის" ავტორი, ჯერ კიდევ მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტს წილად რომ ხვდა ღირსეული ჯილდო — სახელმწიფო პრემია. თითქოს ამ კოპნია ინსტრუმენტული ჩანახატების შექმნის შემდეგ ოთხი ათეული წელი არ გასულა...

ს. ცინცაძე თავის ახალგაზრდობას უბრუნდება სიხარულით და სინანულის გრძნობით, იმ ნათელი სევდით, რომელიც აშკარად გამოსჭვივის ამ უკანასკნელ წლებში შექმნილი ნაწარმოებების არაერთ ეპიზოდში — მეათე სიმფონიანი კვარტეტის სკერცოში, მეხუთე სიმფონიის შუა ნაწილებში, „24 სავიოლინო" და „24 სავიოლონჩელო პრელუდიების" ცალკეულ პიესებში.

რა იზიდავს, რა ხიბლავს ამ მხატვრულ სახეებში?! ალბათ, ყველაზე უფრო, სიახლოვე მშობლიურ მიწა-წყალთან, ხალხურ საწყისებთან, ის მყარი ნიადაგი, ურომლისოდაც ვერ წარმოუდგენია თავისი შემოქმედება.

არაერთხელ დაგრწმუნებულვარ — ს. ცინცაძის შემოქმედებითი სტილის თვითმყოფობა ის არის, რომ მან შეძლო შემოეტანა საკვარტეტო მუსიკაში ქართული ფოლკლორის სიმდიდრე, სიუხვე, სიღრმე. მან მიანიჭა კამერულ-ინსტრუმენტულ ჟანრს ვოკალური მუსიკის ტიპური თვისებები — ქართულ-კახური სიმღერებისათვის დამახასიათებელი სივრცე, მედიდურობა, მელოდიური მრავალფეროვნება, დარბაისლურობა, გურული სიმღერის თანდაყოლილი იუმორი და ბუნებრივი პოლიფონიურობა, მეგრულის—სინარნარე და სინაზე და კიდევ რამდენი რამ!

ახლა უფრო გაიზარდა, გაფართოვდა ს. ცინცაძის მუსიკის მხატვრულ სახეთა, ფოლკლორულ ნიმუშთა არე. ახლა იგი დაეძებს და პოულობს თუშურ, ლაზურ, აფხაზურ, სვანურ მელოდიებსა და რიტმებს, რამაც ესოდენ მრავალმხრივად იჩინა თავი „8 საკვარტეტო მინიატიურაში".

საკვარტეტო მინიატიურებს ს. ცინცაძის შემოქმედებაში არა მარტო დიდი ადგილი უკავია, არამედ ეს გახლავთ მნიშვნელოვანი ეტაპი კომპოზიტორის სტილის ფორმირებისა, მე ვიტყოდი, ქართული მუსიკის განვითარების ისტორიაში. მხედველობაში მაქვს ჟანრის ნოვატორული გააზრება, თემატური საზღვრების გაფართოება, თეატრალური ხილული სამყარო, ფორმის ვირტუოზული ფლობა.

სწორედ მინიატიურებმა დაახლოვა ს. ცინცაძე მსმენელთა ფართო აუდიტორიასთან, მათი წყალობით მოხდა ჟანრის დემოკრატიზაცია.

მახსენდება კომპოზიტორის სიტყვები:

„რაც დრო გადის, სულ უფრო ვგრძნობ, როგორ მომეხმარა მინიატიურები ფორმის დაუფლებაში, როგორ მასწავლა კონკრეტული, ლაკონიური აზროვნება, თექვსმეტ, ოცდათორმეტ ტაქტში სათქმელი ბოლომდე უნდა მეთქვა. ამ პატარა, მსუბუქ პიესებში შევეცადე გადმომეცა ხალხური ყოფის, სოფლური ცხოვრების ხატოვანი სურათები, ქართული საკრავების იმიტაცია".

აშკარად გაიზარდა მომდევნო თაობის ქართველ კომპოზიტორთა ინტერესი საკვარტეტო მინიატიურების მიმართ. პირველ რიგში ამ მხრივ დავასახელებდი ვ. აზარაშვილს, რომლის ნაწარმოებები მკვიდრდება ინსტრუმენტული ანსამბლების რეპერტუარში.

ჟანრულ-ყოფითი თემატიკა, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ს. ცინცაძის ადრეული პერიოდის თხზულებებისათვის, ამჯერად კვლავ წამყვანი ხდება „8 საკვარტეტო მინიატიურაში". ცხოვრებით გამობრძმედილი ხელოვანი სულით ახალგაზრდაა.

„8 საკვარტეტო მინიატიურა" ერთ შეკრულ ციკლად არის გაერთიანებული. ამავე დროს ყოველი მათგანი დამოუკიდებელი პოეტური სამყაროა. მათი სახელწოდებებიც კი მიგვანიშნებს, თუ რაოდენ მრავალფეროვანია პიესების შინაარსი, სულიერი განწყობილება: „ლაშქრული", „აფხაზური ნანა", „ჰერიო", „მირანგულა", „ატირდნენ თუშის ქალები", „ჩაგუნა", „ლაზური", „ჭიჭა ტურა". კომპოზიტორს საქართველოს ხან ერთ კუთხეში გადავყავართ, ხან მეორეში; გულჩათხრობილი გლოვაა პიესაში „ატირდნენ თუშის ქალები", გულღია იუმორია „ჩაგუნაში", აკვნის რწევა და დედის ტკბილი ხმა ისმის „აფხაზურ ნანაში" და გაღვიძებული სოფლის სურნელება იგრძნობა „ჭიჭა ტურაში". კომპოზიტორი ზუსტად ძერწავს სახეებს, გარემოცვას, აშკარად გვესმის და ვგრძნობთ ომახიან შეძახილებს, ქართული სიმღერის მადლს, ალიონზე მამლის ყივილს თუ შიშით გამქრალი ფინიას საცოდავ წრიპინს.

რით აღწევს კომპოზიტორი ყოველივე ამას? ოსტატობით, უსაზღვრო ფანტაზიის წყალობით, მაღალი საკომპოზიტორო ტექნიკით, რომელსაც ყოველთვის ძირითად შინაარსს, ემოციურ სანყისს უმორჩილებს.

კვარტეტის ოთხი ინსტრუმენტი ხან ქართული ხალხური საკრავების — ჩონგურის, ჭუნირის, ბუკის ხმოვანებას ასახავს, ხან კი მთელი ორკესტრივით ყღერს.

როგორც ყოველთვის, ს. ცინცაძის ნაწარმოებების საბოლოო რედაქცია კომპოზიტორისა და შემოქმედებითი კოლექტივის ერთობლივი მუშაობის შედეგად იქმნება. ამჟამად ეს მისია შეასრულა საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის კვარტეტმა, რომლის შემადგენლობაში ოთხი ნიჭიერი მუსიკოსია: ლ. ჩხეიძე, გ. ხინთიბიძე, ა. ხარაძე, რ. მაჩაბელი.

ამ კოლექტივმა გაითავისა „8 მინიატიურა", ისინი მათთვის ბრწყინვალე „საბისო" პროგრამაა. მუსიკოსები დარწმუნებულნი არიან, სადაც უნდა შეასრულონ ეს ახალი ნაწარმოები, რომელ საკონცერტო ესტრადაზეც უნდა გამოვიდ ნ ენ, მიანიატიურების წარმატება ეჭვგარეშეა.

მე კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ, ალბათ, არაერთი სახელგანძეული კვარტეტი გაიმდიდრებს თავის რეპერტუარს ამ მინიატიურებით და დაუკრავს ყველგან ისევე, როგორც უკვე დიდი ხანია უკრავენ კომპოზიტორის აპრობირებულ საკვარტეტო პიესებს.

მირა ფიჩხაძე.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია წვიმა, ელჭექი, მაღალმთიანეთში თოვლი, ზვავი, დასავლეთის ქარი 7-12 მეტრი წამში. ტემპერატურა — ბარში ღამით 8-13, დღისით 15-20, მთაში — ღამით 3-8, დღისით 10-15, მაღალმთიანეთში — ღამით 0-5, დღისით 2-7 გრადუსი სითბო.

თბილისში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა, ელჭექი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ღამით 5-7, დღისით 19-21 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში: ხანმოკლე წვიმა, ელჭექი, დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში ღამით 2-7, დღისით 16-21, მთაში — ღამით 0-5, დღისით 12-17, მაღალმთიანეთში — ღამით მინუს 3-პლუს 2, დღისით 9-14 გრადუსი სითბო.

თეატრი

გარდაქმნის მხარდამხარ

„უცხო" — ასე ეწოდება მ. ვორფოლომეევის სატრულ კომედიას, რომელიც გრიბოედოველთა ბოლო პრემიერაა. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ავტორი თბილისელი მაყურებლისთვის უცხო არ არის. ოთხიოდე წლის წინათ ამავე თეატრში გიზო ყორდანიას რეჟისორობით დაიდგა პიესა „წმინდა ცოდვილი", რომელმაც სათანადო გამოხმაურება პპოვა ფართო საზოგადოებრიობაში. ახლანდელი პიესა, რომლის დადგმა რესპუბლიკის სახალხო არტისტს ლევან მირცხულავას ეკუთვნის, საინტერესოა თავისი პრობლემატური ხასიათით. იგი თითქოს თავისებური გამოძახილია ნ. გოგოლის ცნობილი კომედიისა „რევიზორი". მასში მძაფრად, ლაკონურადაა ნაჩვენები ის ნეგატიური მოვლენები, ღრმად რომ გაიდგა ფესვები ჩვენი ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. თავიდანვე უნდა ვთქვათ — დადებით გმირს აქ ვერ შეხვდებით. აქ ნაჩვენებია თუ რამ დაამახინჯა ადამიანის სული, როგორაა გათელილი ჩვეულებრივი ცხოვრების ეთიკური ნორმები... მთელი სპექტაკლის რეჟისორული ექსპლიკაცია ისეა აგებული, რომ მაყურებლისთვის ადვილად აღსაქმელი და გასააზრებელი იყოს ყოველი სცენური ნაკვეთი. შემოქმედის ამოსავალი წერტილია ადამიანის სახელის ამაყად აყღერება. არაფერმა და არავინ არ უნდა მოახდინოს მასზე ისეთი ზემოქმედება, რომელიც შეძლებს ცხოვრების გაუკუღმართებას, პატიოსანი ადამიანებისადმი ცინიკური დამოკიდებულების შექმნას, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს იკითხება მ. ვორფოლომეევის პიესაში, მაგრამ რეჟისორმა მას მეტი სიმწვავე, სიმუქე შემატა.

შემთხვევითი როდია, რომ პიესის მთავარი გმირი გახლავთ პავლე ივანეს ძე რასპლუევი, — ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟი, ყოველად გაქნილი კაცი, ცხოვრების ხორცმტეტი. სწორედ ესაა ამ ქვეყნად მკვდრეთით აღმდგარი, უეცრად მოვლენილი კაცი, რომელიც გაოგნებულია ყოველივე იმით, რაც მის ირგვლივ ხდება. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. გრუზეცი თანმიმდევრულად განავითარებს ამ სცენურ სახეს. მისი პერსონაჟი გაოცებულია იმით, რომ მიწისაგან პირისა აღგვილან არისტოკრატიის წარმომადგენლები და მისი სალოცავები; მისი საყვარელი ნიკოლოზ მეფე თურმე ჩამოუგდიათ, მდიდრები ამოუწყვეტიათ, მინები ჩამოურთმევიათ და ღარიბთათვის გადაუცია. რასპლუევს, ამ ყოველად გაიძვერა პიროვნებასაც კი აკვირვებს ის ფაქტი, რომ ადამიანები ადამიანებს აღარ გვანან და გაოცებული კითხულობს, —როგორ უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ რევოლუციამ მდიდრები სიმდიდრისთვის მოსპო, მას კი ახლა ფულით დატენილი ჩანთის წასართმევად დასდევენ. ბოლოს იგი იძულებულია გაეცალოს მის გარშემო თავმოყრილ ადამიანებს, დაბრუნდეს თავის კუბოში, ვიდრე ისიც არ წაურთმევიათ. როგორც ვთქვით, ვ. გრუზეცი ლოგიკურად მიჰყვება რეჟისორულ ხაზს, მაგრამ ხანდახან მაინც ავლენს მიდრეკილებას სცენური შტამპისაკენ, კერძოდ იყენებს იგივე შტრიხებს, რომლებითაც ადრე ამავე თეატრში ნათამაშევი კულტმუშაკის სახეს მოგვაგონებს („პუპელა").

მისთვის დამახასიათებელი პროფესიული ოსტატობით აცოცხლებს ოდეონ შელმას სახეს რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. იოფე. იგი ცდილობს თავისი პერსონაჟი მძაფრი თანამედროვე სოციალური შტრიხებით გაამდიდროს. ეს კაცი / საშინელი ეგოიზმითაა შეპყრობილი, მომხვეჭელობისა და საკუთარი ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის ყველანაირ ხერხს იყენებს, საბოლოოდ დაუკარგავს ადამიანური სახე: ფული და მხოლოდ ფული, — აი მისი ცხოვრების კრედო. მსახიობი დამაჯერებლად წარმართავს თავის როლს.

მ. იოფეს სათანადო პარტნიორობას უწევს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. კილოსანიძე ირინა შელმას სახით. ეს ორი პიროვნება, ეს ცოლ-ქმარი როგორც წყლის ორი წვეთი, ისე ჰგავს ერთმანეთს. ისინი თითქოს ერთ ყალიბში არიან ჩამოსხმულნი. ამიტომაცაა, რომ მათი ოჯახის მეგობრებიც მათსავით უზნეონი და სინდისგარეცხილნი არიან. სწორედ ასეთებად გამოიყურებიან ელენა და ალექსანდრე ლიაბოვები, ლუბოვ და სიმონ ნადეიკინები. ელენე რიაბოვა (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. კვიჟინაძე) — ქალაქის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკია, მაგრამ ეს მხოლოდ საშტატო ერთეულით. სინამდვილეში კი ისე დაცმულა, რომ გიკვირს: ნუთუ ასე ადვილად შეიძლება ადამიანმა, და ისიც ქალმა, დაკარგოს სიფაქიზისა და მშვენიერების შეგრძნების უნარი, ნუთუ ადამიანი მარტოოდენ სიგლახისთვისაა გაჩენილი! ძალზე ექცენტრიულ სახეს ქმნის მსახიობი ი. პოდკოპაევა ლუბოვ ნადეიკინას როლით. კარგი იქნება, თუკი თავის პერსონაჟის ტემპერამენტს იგი ოდნავ მაინც მოთოკავს, რითაც ეს სცენური სახე უთუოდ უფრო საინტერესო გახდება. რეჟისორულ ჩანაფიქრს სწორად მიჰყვება ლ. გავრილოვი (სიმონ ნადეიკინი) და რ. პახლევანიანცი (ალექსანდრე ლიაბოვი).

სპექტაკლის მთლიანობას უთუოდ ხელს უწყობს ლევან მანთაძის მიერ გემოვნებით შესრულებული სცენოგრაფია. მასში გამოყენებულია ყოფითი ელემენტები, რაც ერთიორად ამძაფრებს პიესის შინაარსს. თითქმის ყოველი დეტალი, იქნება ეს დეკორატიული გაფორმება თუ პერსონაჟთა ჩაცმულობა, მაყურებლის ყურადღებას იქცევს თავისი ლაკონურობითა და მიზანდასახულობით. ასევე უნდა აღინიშნოს თენგიზ ჯაიანის მუსიკალური გაფორმება, უმეტესად სპექტაკლის ორანფირება. სპექტაკლის დინამიურობას განსაკუთრებით ამძაფრებს ცნობილი „ენთუზიასტების მარში".

ამრიგად, ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრმა თავის მხრივ ახალი, როგორც იტყვიან, კაკალ გულში მოსახვედრი სიტყვა სთქვა, რითაც აუბა მხარი ჩვენს ქვეყანაში ამჟამად ასე თამამი ნაბიჯებით შემოსულ გარდაქმნის პროცესებს.

ნაზი ელიაშვილი.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „უცხო".

საქინფორმის ფოტო.



ჩვენი სახლი

ახე უწოდეს ექიმებმა სახლს, რომელმაც ძველი თბილისის ერთ-ერთ უბანში, ხეთაგუროვის ქუჩაზე დაიდო ბინა.

საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულნი, იმ დღეს შეკრების ადგილს ინტერესით ათვალიერებდნენ. აქ გაიმართება შეხვედრები თუ დისკუსიები, კონცერტები, ლიტერატურული საღამოები, აქვე მოეწყობა საუბრები და მათი შემოქმედების გამოფენები.

და აი, გახსნის დღეს უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი. ყველას სურდა საკუთარი თვალით ეხილა საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის კულტურისა და ტექნიკის რესპუბლიკური სახლი (დირექტორი — ამირან ებრალიძე).

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვიქტორია სირაძემ საზეიმო ვითარებაში გაჭრა ლენტი. იქაურობას მუსიკის ჰანგები მოეფინა, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალ-ვაჟები სტუმრებს ეპატიჟებიან. მეორე სართულზე ახალი სანახობა ელოდებათ — ხელოვნების მოყვარულ მხატვარ-ექიმთა ნამუშევრების გამოფენა. მედიცინის მუშაკებს თავიანთი მადლიანი ხელი უცდიათ ფერწერაში თუ ხის ჩუქურთმაში, პეიზაჟების კომპოზიციურად წარმოსახვასა თუ თეატრალური ნიღბების შექმნაში. შემდეგ გაიმართა კონცერტი. პროფესიონალ მსახიობებს სცენაზე ენაცვლებოდნენ სახალხოსთან ახლად ჩამოყალიბებული მედიკოსთა ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

„კომუნისტის" კორ.



სურათზე: მედიცინის მუშაკთა ახალი სახლის ხედი.

ჯაბარ ლომაძის ფოტო.

(„კომუნისტი").

„კომუნისტის" რეიდი

ჩამოვაშოროთ ლოთები საჭეს

ავტომობილმა დიდ სიკეთესთან ერთად მრავალი თავსატეხი გაუჩინა ადამიანს. არადა საავტომობილო პარკს ყოველდღიურად ემატება ახალ-ახალი ავტომანქანები, იზრდება მოძრაობის ინტენსიურობა და, რა თქმა უნდა, ამის გამო მოახდინოს მასზე ისეთი ზემოქმედება, რომელიც შეძლებს ცხოვრების გაუკუღმართებას, პატიოსანი ადამიანებისადმი ცინიკური დამოკიდებულების შექმნას, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს იკითხება მ. ვორფოლომეევის „ოჯახურ ალბომში". ეს ალბომი, ანუ ეს ფოტოებიანი ალბომი, ეს ალბომი, ეს ალბომ... ალბომ... ალბომ...